

HUMAN RIGHTS WATCH

350 Fifth Avenue, 34th Floor
New York, NY 10118
phone: (212) 290-4700
fax: (212) 736-1300
hrwnyc@hrw.org
Website: <http://www.hrw.org>

EUROPE AND CENTRAL ASIA DIVISION

Holly Cartner
Executive Director
Rachel Denber
Deputy Director
Elizabeth Andersen
Advocacy Director
Diederik Lohman
Moscow Office Director
Benjamin Ward
Researcher
Cassandra Cavanaugh
Theresa Freese
Julia Hall
Bogdan Ivanisevic
Acacia Shields
Jonathan Sugden
Research Associates
Alexander Petrov
Deputy Director, Moscow Office
Liudmila Belova
Giorgi Gogia
Rachel Bien
Elizabeth Eagen
Maria Pulzetti
Tamar Satnet
Associates

STEERING COMMITTEE

Peter Osnos, *Chair*
Alice H. Henkin, *Vice Chair*
Morton Abramowitz
Barbara Finberg
Frederica Friedmann
Felice Gaer
Michael Gellert
Paul Goble
Stanley Hoffman
Robert James
Kati Marton
Prema Mathai-Davis
Karl Meyer
Joel Motley
Herbert Okun
Jane Olson
Leon Sigal
Malcolm Smith
George Soros
Donald J. Sutherland
Ruti Teitel
Mark Walton
William D. Zabel
Warren Zimmermann

HUMAN RIGHTS WATCH

Kenneth Roth
Executive Director
Michele Alexander
Development Director
Carroll Bogert
Communications Director
Reed Brody
Advocacy Director
John P. Green
Operations Director
Barbara Guglielmo
Finance Director
Lotte Leicht
Brussels Office Director
Michael McClintock
Deputy Program Director
Maria Pignataro Nielsen
Human Resources Director
Dinah PoKempner
General Counsel
Malcolm Smart
Program Director
Wilder Tayler
Legal and Policy Director
Joanna Weschler
UN Representative
Jonathan Fanton
Chair



[არაოფიციალური თარგმანი]

7 ივნისი, 2001

კახა თარგამაძეს
შინაგან საქმეთა მინისტრი
დიდი ხეივანის ქ. 10
თბილისი 380014

გია მეფარიშვილს
გენერალური პროკურორი
გორგასლის ქუჩა
თბილისი 380033

ბატონებო,

მე გწერთ, რათა გთხოვოთ ინფორმაცია მოგვაწოდოთ იმ კონკრეტული ზომების თაობაზე, რომელიც გატარებულ იქნა არატრადიციული რელიგიის მიმდევართა წინააღმდეგ თავდასხმებისა და ამ თავდასხმათა გამო დაუსჯელობის სინდრომის აღმოსაფხვრელად.

პრეზიდენტ შევარდნაძისადმი გაგზავნილ 28 მარტის წერილში Human Rights Watch-მა შეშფოთება გამოხატა არა-მართლმადიდებლური რწმენის მიმდევრების წინააღმდეგ თავდასხმათა გახშირების გამო, რაც განსაკუთრებული სიმწვავეთ შეიმჩნევა უზენაესი სასამართლოს 22 თებერვლის გადაწყვეტილების, იეჰოვას მოწმეების რეგისტრაციის გაუქმების, შემდეგ. გიგზავნით ამ წერილის ასლსაც. Human Rights Watch-ის მიერ წარმოებულმა წინასწარმა მოკვლევამ ცხადჰყო, რომ თავდასხმები კვლავ გრძელდება და სამართალდამცთ რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება არ გაუტარებიათ, ღათა ისინი თავიდან იქნას აცილებული და დამნაშავეთ პასუხი აგონ. ინფორმაცია, რომელიც თქვენ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ თავდასხმათა გამოძიებისა და სამართალში მიცემის თაობაზე, საშუალებას მოგვცემს უკეთ გავერკვეთ, თუ რა კონკრეტული ზომები იქნა მიღებული დაუსჯელობის სინდრომის აღმოსაფხვრელად.

Human Rights Watch-მა ინტერვიუ ჩამოართვა ზუთი ისეთი ინციდენტის მსხვერპლთ, როცა თავდასხმელებმა იძულებით დაარბიეს იელოვას მოწმეების რელიგიური შეკრებები. თითქმის ყველა ამ შემთხვევაში თავდასხმელებს წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი დარბევა, ძალადობით შეიჭრნენ კერძო სახლებში სადაც შეკრება მიმდინარეობდა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს იქ შეკრებილთ და გაანადგურეს კერძო საკუთრება; ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არცერთი ამ შემთხვევათა მსხვერპლი არ დაკითხულა იმ მიზნით, რათა აღმოჩინათ დამნაშავენი.

- 23 თებერვალს, თბილისში, დაახლოებით დღის 3 საათზე ექსტრემისტთა ჯგუფმა ბასილი მკალავიშვილის ხელმძღვანელობით დაარბია კერძო

სახლში მიმდინარე დიდი შეკრება. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ადგილზე იმყოფებოდა, მათ არა მარტო ხელი არ შეუშალეს მოძალადეთ, არამედ, ერთ-ერთი თვითმხილველის განცხადებით, ხელიც კი შეუწყვეს ჭიშკრის ძალით გაღებაში. თავდამსხმელებმა სცემეს იელოვას მოწმე რულოლოფ მიკირტუმოვი; მიაყენეს რა სახის მრავლობითი დაზიანება იგი იძულებული იყო მიემართა სამედიცინო დახმარებისათვის. Human Rights Watch-თან ინტერვიუში მიკირტუმოვმა განაცხადა, რომ მომხდარის შესახებ დაკითხვის ნაცვლად მას პროკურატურაში უთხრეს, რომ მეზობლები უჩიოდნენ მისი სახლიდან გამოძვალ ხმაურის გამო. მათ აგრეთვე სავარაუდოდ განუცხადეს, რომ ინფორმაცია პოლიციელების მიერ ჭიშკრის გაღების თაობაზე არ იყო საქმისთვის “სავალდებულო”.

- 5 მარტს საჩხერეში დაახლოებით 150 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, მათ შორის 4 მართლმადიდებელი ეკლესიის მსახური, თავს დაესხა იელოვას მოწმეების შეკრებას; ერთი დღით ადრე, მღვდელმა სავარაუდოდ გააფრთხილა ისინი, რომ საპატრიარქოსაგან ნებართვა ჰქონდათ მიღებული დაერბია იელოვას მოწმეების ნებისმიერი შეკრება. თვითმხილველის, სავლე გოცადის განცხადებით, თავდამსხმელებმა დაამსხვიეს იჩკიტიდის ოჯახის საყოფაცხოვრებო ნივთები, და დაწვეს რელიგიური ლიტერატურა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მასპინძლობდა შეკრებას. Human Rights Watch-თან ინტერვიუში გოცადემ განაცხადა, რომ სამედიცინო ექპერტმა შეამოწმა მისი სხეულის დაზიანებები, რომლებიც თავდასხმისას მიაყენეს. მიუხედავად იმისა, რომ საჩხერეს პოლიციის უფროსმა მწუხარება გამოთქვა გოცადისა და იჩკიტიდისადმი მომხდარის გამო, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არანაირი გამოძიება არ მიმდინარეობს.
- 7 აპრილს ქალაქ რუსთავში ოცკაცინმა ჯგუფმა, ორგანიზაცია ჯვარის წარმომადგენლის პაატა ბლუაშვილის მეთაურობით, დაარბია სალოცავი შეხვედრა, გააჩანაგა ბინა, სადაც შეხვედრა ტარდებოდა და ცემა იქ მყოფნი და დასახმარებლად მოსული მეზობლები. თავდამსხმელებმა გატაცებული რელიგიური ლიტერატურა კოცონზე დაწვეს. თვითმხილველის, არდოტელი კვირიას განცხადებით, პოლიციამ იელოვას მოწმეები დაადანაშაულა კერძო ბინაში შეკრებით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში; ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ამ თავდასხმასთან დაკავშირებით არ მიმდინარეობს არანაირი გამოძიება.
- 29 აპრილს რუსთავში მომხდარი მეორე ინციდენტისას იელოვას მოწმეებმა დაშლა დაიწყეს მას შემდეგ, რაც კარებზე ბრახუნი და მუქარა შემოესმათ. ამის შემდეგ მეზობლებმა სცემეს ისინი, ვინც ფანჯრიდან სცადა გაქცევა, წაართვეს ლიტერატურა და ეზოში დაწვეს. ერთ-ერთმა დაზარალებულმა, ილია ეთერიშვილმა, Human Rights Watch-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ თუმცა მას პოლიციაში ჩამოართვეს ახსნა-განმარტებითი ბარათი, ამას რაიმე საგამომძიებრო ქმედება არ მოჰყოლია.
- განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა 30 აპრილის სვანეთისუბნის თავდასხმა, როცა ლურსმნიანი ჯოხებით შეიარაღებულმა ჯგუფმა დაარბია სალოცავი შეკრება. თავდამსხმელებმა დაამსხვრიეს ფანჯრები, ავეჯი, ელექტრო მოწყობილობები და ლურსმნიანი ჯოხებით სასტიკად სცემეს იქ შეკრებილთ. შედეგად სამი დაზარალებული საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. მათ შორის იყო თამაზ ნაჭყებია, რომელსაც მიყენებული ჰქონდა სხეულის მრავლობითი დაზიანება და თავზე ხუთი ნაკერის დადება დასჭირდა. Human Rights Watch-ის წარმომადგენელმა მონინახულა და დააფიქსირა ნაჭყებიას მარცხენა ხელზე, მარჯვენა მკლავზე, მარცხენა ფეხსა და მარჯვენა ნეკნების არეში, აგრეთვე სახეზე არსებული ღია ჭრილობები. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტის დასრულების შემდეგ შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ ჩვენება ჩამოართვა თვითმხილველთ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მომხდარის ფაქტთან დაკავშირებით არავინ არ ყოფილა დაპატიმრებული.

წინასწარ გიხდით მადლობას ზემოთ ხსენებული ინციდენტების გამოძიებასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებების თაობაზე თქვენს ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის

მოწოდებისათვის. თქვენ შეგიძლიათ პასუხი ფაქსით გამოგვიგზავნოთ შემდეგ ნომერზე:
1.212.736.1200.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ჰოლი კარტნერი

Human Rights Watch-ის

აღმასრულებელი დირექტორი

ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილება

ასლი გაეგზავნათ:

ნანა დევდარიანს, საქართველოს სახალხო დამცველს

მერი რობინსონს, გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის უმაღლესი კომისარი

ჯონ ბეირლის, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მრჩეველი დსთ-ს ქვეყნების საკითხებში

ელჩ ჯერარდ შტუდმანს, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის
ოფისი, ეუთო

წარმომადგენელ ქრისტოფერ სმიტს, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის
თავჯდომარე

სენატორ ბენ ნაითინჰორს კამბელს, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის
ამერიკის ბიუროს თავჯდომარე

ლორდ რასელ-ჯონსონს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს

ბატონ ეგბერთ ოსემს, გენერალური მდივანი, მონიტორინგის კომიტეტი, ევროპის საბჭო

ბატონ ლორნე კრეინერს, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დემოკრატიის, ადამიანის
უფლებებისა და დასაქმების საკითხებში

ელჩ ელიო ხერმანოს, ევრო კომისიის წარმომადგენელი საქართველოში

ელჩ ჯინ-მაიკლ ლაკობის, ეუთო-ს წარმომადგენელი საქართველოში

ბატონ კენეთ იალოვიცს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში

დებორა ბარნს ჯოუნსს, დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში

ბატონ თომ ფარს, საერთაშორისო რწმენის თავისუფლების ამერიკის ოფისის დირექტორი

ბატონ სტივ მაკფარლენდს, საერთაშორისო რწმენის თავისუფლების კომისიის ამერიკის ოფისის
აღმასრულებელი დირექტორი